



აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“

**2021 წლის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება**

შპს "ცოდნისა" (კონსოლიდირებული)				
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
ერთეული: 1 GEL				
	საანგარიშგებო თარიღი			
	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019	შენიშვნა
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1208086	1072016	898209	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	346612	403457	375092	
ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	11191	8830	55572	
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები				
მარაგები	35524	43536	48983	
მ.შ. - მზა პროდუქცია	33260	36154	43677	
- სხვა	2264	7382	5306	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მოკლევადიანი აქტივები	28378	16545	16468	
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	33579	27662	30952	
ძირითადი საშუალებები	444331	490970	531509	3.2
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	7730	7730	7730	3.3
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	2115431	2070746	1964515	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება				
მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი				
სავაჭრო ვალდებულებები	15551	33412	30637	
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	304523	281178	240744	3.4
საგადასახადო ვალდებულებები	48111	24913	88408	
გამოუმუშავებელი შემოსავალი და მიღებული ავანსები	76949	102646	103767	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	76273	75098	72098	3.5
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები				
მიღებული გრანტები				
მ.შ. - გრანტებიდან წარმოქმნ. გრძელვადიანი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები	861		138480	
სულ ვალდებულებები	522268	517247	674134	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	50000	50000	50000	
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	1528351	1487107	1221950	
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				
მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი	1578351	1537107	1271950	
არამაკონტროლებელი წილი	14812	16392	18431	
სულ საკუთარი კაპიტალი	1593163	1553499	1290381	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2115431	2070746	1964515	
სულ მოკლევადიანი აქტივები	1544384	1544384	1394324	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	517247	517247	674134	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 08.01.2023 წ.				
დირექტორი _____ გიორგი ცერცვაძე				
თანმხლბი განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.				

შპს "ცოდნისა" (კონსოლიდირებული)			
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება			
		ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2021	2020	
ნეტო ამონაგები	2980303	2919046	3.6
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	119571	120532	
- მომსახურების გაწევიდან	2858332	2794774	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები	2400	3740	
გაყიდვების თვითღირებულება	-75690	-74033	
საერთო მოგება	2904613	2845013	
სხვა საოპერაციო შემოსავალი	362	554	
დასაქმებულთა ანაზღაურება	-2154849	-2169547	3.7
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-55472	-57039	
საპროცენტო შემოსავალი	34094	23531	3.8
საპროცენტო ხარჯი	-375	-3750	3.8
იჯარის ხარჯი	-69501	-65475	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-360738	-351220	
სულ საოპერაციო ხარჯები	-2606479	-2622946	
საოპერაციო მოგება	298134	222067	
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა	-544	-518	
მ.შ. - ფინანსური აქტივების	0	0	
- მარაგების	-544	-518	
- სხვა არაფინანსური აქტივების	0	0	
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით გაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	-17624	36690	
მიღებული დივიდენდები	3770	596	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	60829	73284	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	344565	332119	
მოგების გადასახადის ხარჯი	-34613	-4125	3.9
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	309952	327994	
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)			
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	309952	327994	
მოგება / (ზარალი) განკუთვნილი:			
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნილებელი მოგება (ზარალი)	311437	329117	
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნილებელი მოგება (ზარალი)	-1485	-1123	
მოგება / (ზარალი):	309952	327994	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1553499	1290381	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)	0		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-270424	-110000	3.10
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	136	45124	
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1593163	1553499	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაცემიდან 08.01.2023 წ.			
დირექტორი _____	გიორგი ცერცვაძე		
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

შპს "ცოდნისა" (კონსოლიდირებული)			
ფულადი ნაკადების ანგარიშგება			
		ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი		
	2021	2020	
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	370136	357237	
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	41475	15018	
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-256903	-235918	
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	154708	136337	
სავალუტო კურსის ეფექტი	-18638	37470	
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	1072016	898209	
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	1208086	1072016	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 08.01.2023 წ.			
დირექტორი _____	გიორგი ცერცვაძე		
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

**2021 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები**

1. ზოგადი ნაწილი

1.1. აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“ (შემდგომში – კონცერნი ან ჯგუფი) წარმოადგენს ჯგუფს, რომლის მშობელი საწარმოა შპს „ცოდნისა“ - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მშობელი საწარმო - შპს „ცოდნისა“ დარეგისტრირებულია 1997 წლის 8 ივლისს საბურთალოს რაიონის სასამართლოს N 5ა/4-1253 დადგენილებით, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო ნომერია - 211344188, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N 41, IV სართული.

1.2. კონცერნის პარტნიორები არიან საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირები:
გიორგი ცერცვაძე - 70%; მაია ცერცვაძე - 10%; ნინო კალანდია - 10%; ფრიდონ ალშიბაია - 10%.

1.3. ჯგუფის მშობელი საწარმოს დირექტორები არიან გიორგი ცერცვაძე და ფრიდონ ალშიბაია, რომელთაგან თითოეულს აქვს საწარმოს ერთპიროვნული გაძღოლის უფლებამოსილება.

1.4. ჯგუფის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა აუდიტორული საქმიანობა, რაც მოიცავს როგორც აუდიტს, ასევე ბუღალტრულ და საკონსულტაციო მომსახურებას. მშობელი საწარმო რეგისტრირებულია აუდიტური ფირმების სახელმწიფო რეესტრში, რეგისტრაციის N SARAS-F-281025. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებულია მშობელი საწარმოს - შპს „ცოდნისა“-ს ხარისხის კონტროლის მონიტორინგი, რის შედეგად მას მიენიჭა მესამე ხარისხის კატეგორია.

1.5. ჯგუფი შედგება მშობელი საწარმოსა (შპს „ცოდნისა“, ს/კ 211344188) და მისი შვილობილი საწარმოებისაგან:

შპს „იბერ-ინფო“ (ს/კ 211349799), რომლის კაპიტალში წილი შეადგენს 75%-ს;

შპს „ააფ-მენეჯმენტი“ (ს/კ 211390074), რომლის კაპიტალში შპს „ცოდნისა“-ს წილი შეადგენს 100%-ს;

შპს „ააფ ინტეგრითი“ (ს/კ 204998770), რომლის კაპიტალში პირდაპირი წილი შეადგენს 60%-ს, ხოლო დანარჩენი 40% ეკუთვნის შპს „ააფ-მენეჯმენტს“;

შპს „სოფტ-ინფო“ (ს/კ 205027344), რომლის კაპიტალში 100% წილი ეკუთვნის შპს „ააფ-მენეჯმენტს“;

შპს „ააფ-კაპიტალი“ (ს/კ 404908597), რომლის კაპიტალში 56% წილი ეკუთვნის შპს „იბერ-ინფოს“, ხოლო 14% - შპს „ააფ-მენეჯმენტს“;

შპს „იმერ-ინფო“ (ს/კ 412679221), რომლის კაპიტალში წილი 2022 წლის 1 დეკემბრამდე შეადგენდა 70%-ს;

ამ შვილობილი საწარმოებიდან, შპს „ააფ ინტეგრითი“ ეწევა იგივე ეკონომიკურ საქმიანობას (ძირითადად, ბუღალტრულ და საკონსულტაციო მომსახურებას), რასაც შპს „ცოდნისა“. ის რეგისტრირებულია აუდიტური ფირმების სახელმწიფო რეესტრში, რეგისტრაციის N SARAS-F-405844.

სხვა საწარმოების ძირითადი ეკონომიკური საქმიანობებია: საბუღალტრო პროგრამული უზრუნველყოფის წარმოება და რეალიზაცია; პროგრამული მომსახურება; ჟურნალების - „აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების“ და „ბიზნესი და მენეჯმენტის“ გამოცემა და გავრცელება; „სატელეფონო ცხელი ხაზის“ საკონსულტაციო მომსახურება; განახლებადი ელექტრონული ბაზის „ააფ-ინფო კონსულტანტის“ გავრცელება; სასწავლო ტრენინგების ჩატარება.

არამაკონტროლებელი წილები, რაც არის შპს „იბერ-ინფოში“ (25%), შპს „იმერ-ინფოში“ (30% - 2022 წლის 1 დეკემბრამდე) და შპს „ააფ-კაპიტალში“ (30%), ეკუთვნით საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირებს. მათ შორის, შპს „იბერ-ინფოში“ წილის 15%-ს ფლობს კონცერნის ერთ-ერთი პარტნიორი - მაია ცერცვაძე.

1.6. ჯგუფს ჰყავს მეკავშირე საწარმო:

შპს „ადვოკატთა და აუდიტორთა კორპორაცია“ (ს/კ 404896163), რომლის კაპიტალში წილი შეადგენს 49%-ს. ამ საწარმოს ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა იურიდიული მომსახურება.

ერთ-ერთ შვილობილ საწარმოს - შპს „სოფტ-ინფოს“ განხორციელებული აქვს ფულადი ინვესტიცია შპს „აბსცისა“-ში (ს/კ 404928673), რომლის საქმიანობაა პროგრამული უზრუნველყოფის წარმოება და რეალიზაცია.

1.7. ჯგუფს აქვს მუდმივმოქმედი რეგიონული ფილიალები: ბათუმში, ქუთაისში და თელავში.

1.8. ჯგუფის მშობელი საწარმო - შპს „ცოდნისა“ არის პროფესიული ორგანიზაციის - „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის“ კორპორაციული წევრი.

1.9. 2021 წლის მდგომარეობით, ჯგუფის დაქირავებულ თანამშრომელთა რიცხოვნობა შეადგენდა 99 კაცს (მათ შორის, მშობელ საწარმოში - 81 კაცს).

1.10. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კონცერნის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კონცერნი წარმოადგენს მესამე კატეგორიის ჯგუფს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კონცერნს არ ევალება წლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ

მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში ჯგუფი შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, ჯგუფის 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე ჩათვლით). 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. ჯგუფის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

ჯგუფის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 1 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის შექმნა, ან დებიტორული დავალიანების უფრო ადრე აღიარება საექვო მოთხოვნად.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი განაკვეთი განისაზღვრება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ჯგუფის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიყვანება სამუშაო ვალუტაში ამ თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი მუხლები, რომლებიც დაიანგარიშდება რეალური ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში რეალური ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს ჯგუფისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე და სადეპოზიტო საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების ცვეთისათვის/ამორტიზაციისათვის გამოიყენება ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ამორტიზებადი აქტივის გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ამორტიზებადი აქტივის გასვლა, ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, საბალანსო და ნარჩენ (სალიკვიდაციო) ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები	- 4%;
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	- 12,5-20%;
მანქანა-დანადგარები	- 8-10%;
კომპიუტერული ტექნიკა და აღჭურვილობა	- 25%;

ავეჯი და სხვა ინვენტარი	- 20-50%;
საოფისე აღჭურვილობა	- 20-50%.

დ) იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.6. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები). ჯგუფში შემავალი საწარმოების დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა რამდენიმე შესაძლო გამონაკლისი შემთხვევისა, რომლებსაც ჯგუფის შემთხვევაში ადგილი არ აქვთ).

2017-2021 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.7. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის ჯგუფის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.8. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.0976 ლარი;

1 EUR=3.5040 ლარი.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.2766 ლარი;

1 EUR=4.0233 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2021 წელს: 1 USD=3.2170 ლარი; 1 EUR=3.8152 ლარი.

2020 წელს: 1 USD=3.0937 ლარი; 1 EUR=3.5395 ლარი.

3. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
ნაღდი ფული საღაროში	5859	3599	12393
ლარი საბანკო ანგარიშებზე	841582	658325	572140
ლარი მოკლევადიან საბანკო დეპოზიტებზე	77411	70918	68816
აშშ დოლარი საბანკო ანგარიშებზე	61	65675	11878
ევრო საბანკო ანგარიშებზე	18851	1886	1445
რუსული რუბლი საბანკო ანგარიშებზე	60	45	200
აშშ დოლარი მოკლევადიან საბანკო დეპოზიტებზე	264262	271569	231337
სულ:	1208086	1072016	898209

3.2. ძირითადი საშუალებები:

ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	2020 წელი ზრდა ან შემცირება	2020 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	2020 წელი ზრდა ან შემცირება	2020 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
შენიშვნა- ნაგებობები	356919	0	30120	387039	0	30120	417159
ავტო სატრანსპორტო საშუალებები	57861	0	12943	70804	2185	12943	81563
სხვა ძირითადი საშუალებები	29551	4173	7749	33127	9169	8829	32787
სულ:	444331	4173	50812	490970	11354	51893	531509

ჯგუფის საკუთრებაშია საოფისე ფართები თბილისში, ბათუმში, ქუთაისსა და თელავში.

2021 წელს ძირითადი საშუალებები არ გაყიდულა, გარდა ერთ-ერთ შვილობილ კომპანიაში ამორტიზებული მცირეფასიანი ძირითადი საშუალებისა.

ძირითადი საშუალებების ისტორიული (თავდაპირველი) ღირებულება შეადგენდა:

2020 წლის ბოლოს - 1223960 ლარი;

2020 წლის ბოლოს - 1221503 ლარი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2021 წლის ბოლოს - 779629 ლარი;

2020 წლის ბოლოს - 730533 ლარი.

3.3. ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
ინვესტიცია შპს „ადვოკატა და აუდიტორთა კორპორაციაში“	980	980	980
ინვესტიცია შპს „აბსცისაში“	6750	6750	6750
სულ:	7730	7730	7730

შპს „აბსცისადან“ 2019-2020 წლებში მოგება არ განაწილებულა და დივიდენდები არ გაცემულა, ხოლო შპს „ადვოკატა და აუდიტორთა კორპორაციიდან“ 2021 წელს მოხდა მოგების განაწილება, რომლიდანაც შპს „ცოდნისა“-ს ხვედრითმა წილმა შეადგინა 3770 ლარი.

3.4. ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
გასაცემი ხელფასები	248989	247221	224272
სავალდებულო საპენსიო შენატანები	54699	31764	15740
ა/მ იჯარა თანამშრომლებისაგან	318	1966	679
ვალდებულებები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	517	227	53
სულ:	304523	281178	240744

3.5. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
შპს „იბერ-ინფოს“ სასესხო ვალდებულება დამფუძნებელი ფიზიკური პირის მიმართ (ძირი)	37500	37500	37500
შპს „იბერ-ინფოს“ სასესხო ვალდებულება დამფუძნებელი ფიზიკური პირის მიმართ (პროცენტი)	37973	37598	34598
სხვა მოკლევადიანი უპროცენტო სასესხო ვალდებულება	800		
სულ:	76273	75098	72098

ჯგუფში შემავალმა შვილობილმა საწარმომ შპს „იბერ-ინფომ“ დამფუძნებელი ფიზიკური პირისაგან აიღო სესხი 37500 ლარის ოდენობით, 2013 წლის 1 აპრილს სასარჩელო მოთხოვნის უზრუნველსაყოფად. ეს თანხა განთავსდა საერთო სასამართლოების სადეპოზიტო ანგარიშზე და დღემდე რჩება ამ ანგარიშზე როგორც სარჩელის უზრუნველყოფა. სესხი და მასზე დარიცხული პროცენტი განიხილება მოკლევადიან ვალდებულებად, რადგან გამსესხებელ პირს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოითხოვოს მსესხებლისაგან თანხის სრულად დაბრუნება.

3.6. ამონაგები:

	2021 წელი	2020 წელი
ამონაგები აუდიტორული საქმიანობიდან	453448	327665
ამონაგები ბუღალტრული, საკონსულტაციო და სხვა ანალოგიური მომსახურებიდან	2265636	2336225
„სატელეფონო ცხელი ხაზის“ საკონსულტაციო მომსახურება	7650	6840
სასწავლო სემინარები და ლექციები	21995	26661
სარეკლამო, მარკეტინგული და სხვა მომსახურება	109603	97383
საბუღალტრო პროგრამის, ჟურნალების და სხვა გაყიდვები	119571	120532
იჯარა, ქვეიჯარა	2400	3740
სულ:	2980303	2919046

3.7. სხვა საოპერაციო შემოსავალი:

	2021 წელი	2020 წელი
მეკავშირე საწარმოებიდან მიღებული ერთჯერადი საკომპენსაციო გადახდები	355	548
სხვა შემოსავალი	7	6
სულ:	362	554

3.8. საპროცენტო შემოსავალი, საპროცენტო ხარჯები

ჯგუფის საპროცენტო შემოსავალი 2021 წელს - 34094 ლარი და 2020 წელს - 23531 ლარი მთლიანად შედგებოდა შპს „ცოდნის“-ს, შპს „ააფ-მენეჯმენტის“, შპს „ააფ ინტეგრირების“ და შპს „იმერ-ინფოს“ მიერ რეზიდენტ ბანკებში განთავსებულ ანაბრებზე და დეპოზიტებზე დარიცხული პროცენტებისაგან.

ჯგუფის საპროცენტო ხარჯი 2021 წელს - 375 ლარი და 2020 წელს - 3750 ლარი მთლიანად შედგებოდა შპს „იმერ-ინფოს“ საპროცენტო ხარჯისაგან, რომელიც დარიცხულია ფიზიკური პირისგან მიღებულ სესხზე.

3.9. მოგების გადასახადის ხარჯი

როგორც 2020, ასევე 2021 წელს მოგების გადასახადის ხარჯი წარმოიშვა ჯგუფის სათავო კომპანიის პარტნიორებზე გასულ წლებში მიღებული მოგების ნაწილობრივი განაწილების შესახებ, საქართველოში მოქმედი მოგების გადასახადით დაბეგვრის „ესტონური მოდელის“ შესაბამისად. ამასთან, ვინაიდან განაწილებას უმეტეს წილად დაექვემდებარა 2017 წლამდე მიღებული მოგება, ამიტომ მოგების გადასახადით დაბეგვრის „ესტონური მოდელის“ თავისებურებებიდან გამომდინარე, გაცემული დივიდენდების დაბეგვრისას მოხდა 2008-2016 წლებში გადახდილი მოგების გადასახადის ნაწილობრივი ჩათვლა.

3.10. განაწილებული დივიდენდები

როგორც 2020, ასევე 2021 წელს ჯგუფის სათავო კომპანიის პარტნიორებმა მიიღეს გადაწყვეტილება გასულ წლებში მიღებული მოგების ნაწილობრივი განაწილების შესახებ, მათ შორის, 2021 წელს განაწილდა 270424 ლარი, ხოლო 2020 წელს - 110000 ლარი.

2020 წელს, განაწილებას დაექვემდებარა ჯერ კიდევ 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული გაუნაწილებელი მოგების ნაშთი და ასევე, 2017-2020 წლებში მიღებული მოგების გადასახადით დაბეგვრისაგან გათავისუფლებული საპროცენტო შემოსავალი საბანკო ანაბრებიდან და დეპოზიტებიდან, ვინაიდან სსკ 99-ე მუხლის პირველი ნაწილით მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული მოგების თანხის იდენტიფიცირებისათვის

ითვლება, რომ კომპანიის მიერ დივიდენდის განაწილებისას პირველ რიგში ეს თანხა გაიცემა.

2021 წელს კი, განაწილებას დაექვემდებარა 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული მოგების დარჩენილი გაუნაწილებელი მოგების ნაშთი და 2017 წლის გაუნაწილებელი მოგების ნაწილი, ასევე, 2020-2021 წლებში მიღებული მოგების გადასახადით დაბეგვრისაგან გათავისუფლებული საპროცენტო შემოსავალი საბანკო ანაბრებიდან და დეპოზიტებიდან.

იმ შვილობილი საწარმოებიდან, რომელთაც ჰყავთ არამაკონტროლებელი წილის მფლობელი პარტნიორები (ფიზიკური პირები), დივიდენდები 2020-2021 წლებში არ გაცემულა.

3.11. სასამართლო დავები

2019-2020 წლებში, ჯგუფში შემავალი საწარმოების წინააღმდეგ სასამართლო დავებს ადგილი არ ჰქონია. ჯგუფის მშობელი საწარმო თავად უჩივის რამდენიმე ვადაგადაცილებულ დებიტორს თანხის გადაუხდელობის გამო, თუმცა სადავო თანხები ჯგუფის საქმიანობის მასშტაბთან შედარებით მცირეა. რამდენიმე დავა წარმატებით დასრულდა 2021 წელს.

ჯგუფში შემავალი ერთ-ერთი საწარმო - შპს „იბერ-ინფო“ 2012 წლიდან უჩივის სხვა კომპანიას მისი საავტორო უფლებების დარღვევისა და სასაქონლო ნიშნების უნებართვოდ გამოყენების გამო. დავა ეხება საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერს“. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ეს დავა დასრულებული არ არის. პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებში დავა მოგებული აქვს შპს „იბერ-ინფოს“ და სადავო საკითხის განხილვა გადასულია უზენაეს სასამართლოში.

3.12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020-2022 წლებში ადგილი ჰქონდა შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენას: მსოფლიო მასშტაბით, გავრცელდა ახალი კორონავირუსი COVID-19, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. ეს ვითარება გაგრძელდა 2022 წელსაც. 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისათვის, პანდემიის მასშტაბები საქართველოში მნიშვნელოვნად შენელებულია, მაგრამ საბოლოოდ დამარცხებული ჯერ არ არის.

შექმნილი სიტუაციის მიუხედავად, ჯგუფს მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები არ შექმნია და ჯგუფი უწყვეტ და ჩვეულებრივ რეჟიმში აგრძელებდა ფუნქციონირებას.

- 2021 წლის აპრილში, სააპელაციო სასამართლომ დაასრულა შპს „იბერ-ინფოს“ მიერ 2012 წელს დაწყებული სასამართლო დავის განხილვა და მიაკუთვნა მას გამარჯვება პრაქტიკულად ყველა ასპექტში, რითაც ძირითადად ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ 2020 წლის ივლისში მიღებული გადაწყვეტილება. მოწინააღმდეგე მხარემ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში, რომელსაც მათი საჩივრის განხილვა 2023 წლის 8 იანვრის მდგომარეობით ჯერ დაწყებული არ ჰქონდა.

- 2022 წლის 1 თებერვალს, ამოქმედდა შპს „ააფ-მენეჯმენტის“ ახალი ვებგვერდი aafconsultant.ge.

- 2022 წლის 1 დეკემბერს, კომპანიამ გაასხვისა შვილობილ კომპანიაში - შპს „იმერ-ინფოში“ კუთვნილი 70% წილიდან 21% წილი, რის შემდეგ მისი წილობრივი მონაწილეობა ამ შპს-ში განისაზღვრა 49%-ის ოდენობით. შედეგად, ეს შვილობილი კომპანია შპს „ცოდნისა“-სთვის გახდა მეკავშირე საწარმო.

- 2022 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 8 იანვრამდე პერიოდში, ჯგუფის ეკონომიკურ საქმიანობაში სხვა საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

3.13. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2023 წლის 8 იანვარს ჯგუფის მენეჯმენტის მიერ. ჯგუფის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

შპს "ცოდნისა" (კონსოლიდირებული)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019	
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1208086	1072016	898209	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	346612	403457	375092	
ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	11191	8830	55572	
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები				
მარაგები	35524	43536	48983	
მ.შ. - მზა პროდუქცია	33260	36154	43677	
- სხვა	2264	7382	5306	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მოკლევადიანი აქტივები	28378	16545	16468	
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	33579	27662	30952	
ძირითადი საშუალებები	444331	490970	531509	3.2
ინვესტიციები შეიღობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	7730	7730	7730	3.3
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	2115431	2070746	1964515	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება				
მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი				
სავაჭრო ვალდებულებები	15551	33412	30637	
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	304523	281178	240744	3.4
საგადასახადო ვალდებულებები	48111	24913	88408	
გამოუმუშავებელი შემოსავალი და მიღებული ავანსები	76949	102646	103767	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	76273	75098	72098	3.5
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები				
მიღებული გრანტები				
მ.შ. - გრანტებიდან წარმოქმნ. გრძელვადიანი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები	861		138480	
სულ ვალდებულებები	522268	517247	674134	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	50000	50000	50000	
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	1528351	1487107	1221950	
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				
მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი	1578351	1537107	1271950	
არამაკონტროლებელი წილი	14812	16392	18431	
სულ საკუთარი კაპიტალი	1593163	1553499	1290381	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2115431	2070746	1964515	
სულ მოკლევადიანი აქტივები	1544384	1544384	1394324	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	517247	517247	674134	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გაბრუნებულად 08.01.2023 წ.

დირექტორი

გიორგი ცერცვაძე

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.



შპს "ცოდნისა" (კონსოლიდირებული)

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2021	2020	
ნეტო ამონაგები	2980303	2919046	3.6
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	119571	120532	
- მომსახურების გაწევიდან	2858332	2794774	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები	2400	3740	
გაყიდვების თვითღირებულება	-75690	-74033	
საერთო მოგება	2904613	2845013	
სხვა საოპერაციო შემოსავალი	362	554	3.7
დასაქმებულთა ანაზღაურება	-2154849	-2169547	
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-55472	-57039	3.8
საპროცენტო შემოსავალი	34094	23531	
საპროცენტო ხარჯი	-375	-3750	3.8
იჯარის ხარჯი	-69501	-65475	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-360738	-351220	
სულ საოპერაციო ხარჯები	-2606479	-2622946	
საოპერაციო მოგება	298134	222067	
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა	-544	-518	
მ.შ. - ფინანსური აქტივების	0	0	
- მარაგების	-544	-518	
- სხვა არაფინანსური აქტივების	0	0	
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	-17624	36690	
მიღებული დივიდენდები	3770	596	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	60829	73284	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	344565	332119	3.9
მოგების გადასახადის ხარჯი	-34613	-4125	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	309952	327994	
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)			
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	309952	327994	
მოგება / (ზარალი) განკუთვნილი:			
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნილებელი მოგება (ზარალი)	311437	329117	
არამაკონტროლებელ წილეზე მისაკუთვნილებელი მოგება (ზარალი)	-1485	-1123	
მოგება / (ზარალი):	309952	327994	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1553499	1290381	3.10
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)	0		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-270424	-110000	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	136	45124	
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1593163	1553499	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაცემისთანაობა 08.01.2023 წ.

დირექტორი

[Handwritten Signature]

გიორგი ცერცვაძე



თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "ცოდნისა" (კონსოლიდირებული)


ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ერთეული: I GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2021	2020
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	370136	357237
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	41475	15018
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-256903	-235918
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	154708	136337
სავალუტო კურსის ეფექტი	-18638	37470
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	1072016	898209
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	1208086	1072016

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გაშოსაქვეყნებლად 08.01.2023 წ.

დირექტორი



გიორგი ცერცვაძე



თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.